

გაკვეთილი 4

ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობა

საბანკო პროდუქტები

ნაწილი 1

ურთიერთობის დაწყება ბანკთან

პირველი ნაბიჯი ფირმის შესაქმნელად არის სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირება, სადაც მოცემულია ყველა ინფორმაცია ფირმის დამფუძნებლებზე, მათ წილობრივ მონაცემებზე და ფირმის საქმიანობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები.

სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირების შემდეგი ნაბიჯი ეს არის ბანკთან ურთიერთობის დაწყება. ჩნდება კითხვა: რომელი ბანკი ავირჩიოთ? და რა არის საჭირო ბანკში ანგარიშის გასახსნელად?

როგორ შევარჩიოთ ბანკი? აქ მარტივი წესია: ეძებთ ბანკი, რომელიც მზად არის გაიზარდოს თქვენს ბიზნესთან ერთად. ბაზარზე დაკავებული მდგომარეობისა და პოლიტიკის მიხედვით შეიძლება ბანკების 2 კატეგორიად დაყოფა. ეს არის მსხვილი სტრუქტურები, რომლებიც თავდაპირველად ორიენტირებულნი არიან მსხვილი კომპანიების მომსახურებაზე, ან მასობრივ მსესხებლებზე სტანდარტიზებული საკრედიტო პროდუქტის რეალიზაციით. არის კიდევ საშუალო და წვრილი ბანკები, რომლებიც უფრო მოქნილად მუშაობენ და შეუძლიათ კლიენტებისათვის ინდივიდუალური პირობების შეთავაზება.

რა საბუთებია საჭირო ანგარიშის გასახსნელად? ხშირად არსებობს მცდარი შეხედულება იმაზე, რომ ბანკში ანგარიშის გასახსნელად უამრავი საბუთებია საჭირო. რეალურად ბანკში მხოლოდ პირადობის მოწმობით 1 დღეში შესაძლებელია ანგარიშის გახსნა და საბანკო ოპერაციების წარმოება. იხილეთ ანგარიში გასახსნელად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- კერძო სამართლის რეზიდენტი კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირებისთვის:
- განაცხადი ანგარიშის გახსნის შესახებ; (ივსება ბანკში)
- კლიენტის წარმომადგენლის ხელმოწერის ნიმუში; (ივსება ბანკში) ბანკში ხელწერის დაფიქსირების შემდეგ თქვენ ვალდებული ხართ მაქსიმალურად იდენტური ხელმოწერა დააფიქსიროთ ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელებისას.
- კლიენტის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან; (კეთდება ბანკში)
- წესდება (კეთდება ბანკში) წესდებაში ნაჩვენებია ფირმის საქმიანობის სფერო, რისი უფლება და რა შეზღუდვები აქვს ფირმას და ფირმის უფლებამოსილ პირ(ებ)ს.

ინდივიდუალური მეწარმე, ფიზიკური პირი

- განაცხადი ანგარიშის გახსნის შესახებ; (ივსება ბანკში)
- კლიენტის წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი;
- კლიენტის წარმომადგენლის ხელმოწერის ნიმუში;(ივსება ბანკში)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;(კეთდება ბანკში)

ანგარიშის გახსნისთანავე ბანკი ელექტრონულად აწვდის შემოსავლების სამსახურს ინფორმაციას ფირმის მიერ ბანკში ანგარიშის გახსნაზე.

როგორც სედავთ ანგარიშის გახსნა საკმაოდ მარტივია და იმ შემთხვევაში, თუკი ფირმას სხვა დამფუძნებელი და დირექტორი არ ჰყავს თქვენ არ გიწევთ ბანკში არანაირი საბუთის წარდგენა გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა.

გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორი! ყველა ბანკს გააჩნია მომსახურების სტანდარტული და განსხვავებული ტარიფები. თუკი თქვენს ორგანიზაციას საკმაოდ ბევრი საბანკო ოპერაციები აქვს, თქვენ შეგიძლიათ ბანკს მოსთხოვოთ განსხვავებული ტარიფები: თანხის გადარიცხვაზე, თანხის განადღებლად და კონვერტაციაზე.

საბანკო ანგარიშები და მათი სახეები

არსებობს 2 ტიპის საბანკო ანგარიში: მიმდინარე და შემნახველი

- **1. მიმდინარე** - ეს არის კლიენტის საბანკო ანგარიში, რომელიც იხსნება უვადოდ და გამოიყენება სხვადასხვა საბანკო ოპერაციების საწარმოებლად, როგორცაა თანხის შეტანა, გატანა, გადარიცხვა, ჩარიცხვა და კონვერტაცია. როგორც წესი, მიმდინარე ანგარიშებზე არ ხდება ბანკის მიერ პროცენტის დარიცხვა, თუმცა, ბანკს შესაძლოა ჰქონდეს ასეთი მომსახურება. ბანკი უფლებამოსილია დახუროს მომხმარებლის მიმდინარე ანგარიშები იმ შემთხვევაში, თუ მათზე არ ფიქსირდება ბრუნვა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში და ბალანსი ნულის ტოლია.
- **2. შემნახველი** - ანაბარი აერთიანებს საპროცენტო სარგებლის მიღების შესაძლებლობასა და მოქნილობას. შემნახველ ანაბარზე ბანკი არიცხავს საპროცენტო სარგებელს. დასაშვებია თანხის თავისუფალი განკარგვა, მაგრამ ვადას ანაბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დარღვევის შემთხვევაში მასზე არ მონდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა.

არსებობს შემდეგი ტიპის ანაბრის ტიპი:

- **შემნახველი/მოთხოვნამდე დეპოზიტი**-შემნახველი/მოთხოვნამდე დეპოზიტი არის უვადო სახის დეპოზიტი, რომელსაც ერიცხება გარკვეული საპროცენტო სარგებელი. შემნახველ დეპოზიტზე ოპერაციების წარმოების პერიოდულობა შეუზღუდავია. ჩვეულებრივ, შემნახველ დეპოზიტებზე საპროცენტო სარგებელი ნაკლებია სხვა ტიპის დეპოზიტებთან შედარებით.
- **ზრდადი დეპოზიტი**-ეს არის ვადიანი ტიპის დეპოზიტი, რომელიც იხსნება კონკრეტული ვადითა და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით. განსხვავებით ვადიანი დეპოზიტისაგან, ზრდადი ვადიანი დეპოზიტზე კლიენტს საშუალება აქვს დაამატოს თანხა ძირითად თანხას. ბანკები განსაზღვრავენ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასამატებელი თანხის მინიმალურ ოდენობასა და პერიოდულობას.
- **ვადიანი დეპოზიტი**-ვადიანი დეპოზიტი არის კლიენტის მიერ ბანკში კონკრეტული ვადით განთავსებული თანხა, რომელსაც ერიცხება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი. ვადიანი დეპოზიტი იხსნება კონკრეტული ვადითა და

კონკრეტული თანხით და ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეუძლებელია თანხის დამატება.

ჩვეულებრივ, ვადიან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალია სხვა ტიპის დეპოზიტებთან შედარებით. გარდა ამისა, რაც უფრო დიდია დეპოზიტის ვადა, მით მეტია საპროცენტო განაკვეთი. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კლიენტს ერიცხება ხელშეკრულებით განსაზღვრულ საპროცენტო სარგებელზე დაბალი განაკვეთი.

თქვენი ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუ კი საბანკო ანგარიშზე ხშირად გაქვთ თავისუფალი ფულადი რესურსი, რომელსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ იყენებთ, თქვენ შეგიძლიათ ბანკს მოსთხოვოთ დაგარიცხოთ საპროცენტო სარგებელი. საპროცენტო სარგებლის დარიცხვის მოთხოვნის დროს გაითვალისწინეთ, რომ არსებობს სტანდარტული და არასტანდარტული ანუ ინდივიდუალური პირობები. ეს დამოკიდებულია თქვენი ფირმის საბანკო ოპერაციების მოცულობაზე.

გაითვალისწინეთ: რაც უფრო დიდია ანაბრის ვადა მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი.

ბ ი ზ ნ ე ს ო გ ე რ დ რ ა ფ ტ ი

ოვერდრაფტი მოკლევადიანი სესხია. იგი საშუალებას იძლევა წინასწარ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში მიიღოთ ფულადი რესურსი ანუ განარჯოთ ანგარიშზე არსებულ თანხაზე მეტი თქვენი ბიზნესის მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად, ისეთების როგორცაა სახელფასე დაფალიანების დაფარვა, საქონლის განბაჟება, საგადასახადო დაფალიანების დაფარვა, მომწოდებელთან ანგარიშსწორება და ა.შ. , ხოლო ბანკის მიმართ წარმოქმნილი დაფალიანება დაიფაროს მოცემულ ანგარიშზე თანხის დარიცხვისთანავე. ოვერდრაფტით სარგებლობისათვის აუცილებელია გააჩნდეთ საბანკო ბრუნვა. სტანდარტულად ბანკები კლიენტებს სთავაზობენ საბანკო ანგარიშებზე საშუალო თვიური ბრუნვის 70-80 %-ს. ასე, რომ რაც ხშირად აწარმოებთ ოპერაციებს უნადლო ანგარიშსწორებით (საბანკო გადარიცხვებით) მით მეტია ოვერდრაფტის თანხის მოცულობა.

ოვერდრაფტის უპირატესობებია:

- ოვერდრაფტის პროცენტის გადახდა ხდება რეალურად განარჯული თანხიდან.
- ოვერდრაფტით სარგებლობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბანკის გაფრთხილება საჭირო არ არის.
- გარკვეულ თანხამდე (ყველა ბანკს განსვავებული თანხები აქვთ) ბანკი არ ითხოვს გირაოს და ბიზნესის ანალიზს.

მაგალითი: კლიენტი შეიძლება სარგებლობდეს ოვერდრაფტით, რომელიც გულისხმობს 1 წლის განმავლობაში 1000 აშშ დოლარის ნებისმიერ დროს განარჯვას. თუ კი მომხმარებელმა მხოლოდ 500 აშშ დოლარი მოიხმარა 2 კვირით, ის ისდის მხოლოდ 500 აშშ დოლარის 2 კვირით სარგებლობი თანხას.

ლიზინგი

მსოფლიო პრაქტიკაში ტერმინი "ლიზინგი" გამოიყენება, როგორც სანგძლივო მონმარების საქონლის იჯარაზე დაფუძნებული ვარიანტი. იმის მხედვით, თუ რა ვადითაა დადებული იჯარის ხელშეკრულება, განასხვავებენ იჯარის ოპერაციების 3 სახეს: მოკლევადიანი იჯარა-რენტინგი (ერთი დღიდან 1 წლამდე); საშუალოვადიანი იჯარა-ხაირინგი (1-დან 3 წლამდე) და გრძელვადიანი იჯარა-ლიზინგი (3-დან 20 წლამდე და მეტი). ლიზინგის დახმარებით კომპანია შეუძლია შეიძინოს აქტივები კაპიტალური დანაარჯების გარეშე. არსებობს 2 ტიპის ლიზინგი. ფინანსური და დაბრუნებითი ლიზინგი

ფინანსური ლიზინგი მსოფლიოში დაფინანსების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა. მსოფლიოს მასშტაბით დანადგარების გაყიდვების ერთი მესამედი ფინანსური ლიზინგის მეშვეობით ხორციელდება. ფინანსური ლიზინგის დროს სალიზინგო კომპანია შეისყიდის კლიენტის მიერ შერჩეულ კონკრეტულ ნივთს (დანადგარს, სატრანსპორტო საშუალებას და ა.შ.) და გადასცემს სარგებლობაში, ყოველთვიური სარგებლის გადანდის სანაცვლოდ კლიენტს. სალიზინგო თანხის სრულად გადახის შემთხვევაში კლიენტი ხდება ლიზინგის საგნის მფლობელი.

დაბრუნებითი ლიზინგი- დაბრუნებითი ლიზინგი დროს სალიზინგო კომპანია შეისყიდის კლიენტის ფიქირებულ აქტივებს და გადასცემს ფინანსური ლიზინგით. კლიენტი ჩვეულებრივ აგრძელებს აქტივებით სარგებლობას და ლიზინგის საზღაურის სრულად დაფარვის შემდეგ იბრუნებს საკუთრები უფლებას.

ლიზინგის უპირატესობებია:

- დამატებითი უზრუნველყოფა უძრავ-მოდრავი ქონების სახით არ მოითხოვება. ლიზინგის საგანი თავად წარმოადგენს უზრუნველყოფას.
- კონსულტაციები-სალიზინგო კომპანიის (ბანკის) ექსპერტები ეხმარებიან კლიენტს შესყიდვის პროცესის ორგანიზებაში: მომწოდებელთან, სატრანსპორტო, სადაზღვევო კომპანიასთან, საბაჟო სტრუქტურებთან ურთიერთობაში.
- მარტივი პროცედურები. ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა მარტივია და არ არის დაკავშირებული ფინანსურ დანაარჯებთან.
- დამატებითი ღირებულების გადასახადის გადავადება. ლიზინგით აღებულ ძირითად საშუალებებზე დამატებითი ღირებულების გადახდა წარმოებს ლიზინგის ვადის განმავლობაში, სალიზინგო გადახდების პროპორციულად.

დოკუმენტური აკრედიტივი

დოკუმენტური აკრედიტივი სავაჭრო ვარიანტის ფორმაა, რომლის საშუალებითაც გამყიდველი და მყიდველი გამორიცხავენ ვარიანტისთან დაკავშირებულ ყველა რისკს. ანუ აკრედიტივი გამოიყენება ძირითადად იმპორტ-ექსპორტი დროს და იმ შემთხვევაში, როცა მყიდველსა და გამყიდველს სორის არ არსებობს ნდობი ფაქტორი. მყიდველს არააქვს იმის გარანტია, რომ თანხის გადანდის შემთხვევაში ის მიიღებს მისთვის სასურველ საქონელს და შესაბამისად არც გამყიდველს აქვს იმის გარანტია, რომ საქონლის მიწოდების შემთხვევაში, ის მიიღებს კუთვნილ საზღაურს. ამისათვის მყიდველის წარმომადგენელი ბანკი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს ვარიანტით განსაზღვრული თანხა გამყიდველის ბანკს, როდესაც გამყიდველი შეასრულებს ვარიანტით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას.

აკრედიტივით ანგარიშსწორება მომგებიანია როგორც მყიდველისათვის, ისე გამყიდველისათვის.

სარგებელი მყიდველთათვის:

მყიდველი გარანტირებულია, რომ მისი თანხები გადაირიცხება მხოლოდ გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემდეგ;

მყიდველს შეუძლია, გამყიდველთან წინასწარ შეათანხმოს იმ საბუთების ჩამონათვალი, რომელიც თან უნდა ახლდეს მიღებულ საქონელს;

საბუთების სრულად არმიღების შემთხვევაში მყიდველი გარანტირებულია, რომ თანხები არ გადაირიცხება გამყიდველის ანგარიშზე.

სარგებელი გამყიდველთათვის:

აკრედიტივი წარმოადგენს გარანტიას გამყიდველისათვის, რომ თანხები გადმოირიცხება მის სასარგებლოდ, თუ ის შეასრულებს გარიგებით დაკისრებულ ყველა ვალდებულებას.

თანხის გადახდაზე პასუხისმგებლობას იღებს ბანკი და, აქედან გამომდინარე, თანხის გადაირიცხვა მყიდველის ნებაზე და მის ფინანსურ მდგომარეობაზე აღარ არის დამოკიდებული.

თანხის მიღება ხდება მოკლე ვადაში პარტნიორი ბანკების საშუალებით.

მაღალრისკიან ქვეყნებთან ურთიერთობის დროს შესაძლებელია რისკის გაბათილება დამოწმებული აკრედიტივის მოთხოვნით, რაც გულისხმობს, რომ გარანტი ხდება მსოფლიოს ერთ-ერთი პირველი კატეგორიის ბანკი.

აკრედიტივის გაგრძელებული ფორმებია:

- გამოთხოვადი,
- გამოუთხოვადი,
- დაუდასტურებელი,
- დადასტურებული

გამოთხოვადი აკრედიტივი - ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს ემიტენტი ბანკის მიერ, ხშირ შემთხვევაში აპლიკანტის მითითებით და ბენეფიციარის გაფრთხილების გარეშე.

გამოუთხოვადი აკრედიტივი - ბენეფიციარს აძლევს გარანტიას, რომ მის მიერ საქონლის მიწოდება ან მომსახურება ანაზღაურდება, როგორც კი იგი შეასრულებს აკრედიტივის პირობებს. გამოუთხოვადი აკრედიტივის ცალმხრივად გაუქმება ან შეცვლა არცერთ მხარეს არ შეუძლია.

- დადასტურებელი აკრედიტივი - აკრედიტივის გამცემი ბანკის გარდა გადახდის შესახებ გარანტიას იძლევა მიმღები ბანკიც.
- დაუდასტურებელი აკრედიტივი - აკრედიტივი დამოწმებულია მხოლოდ მისი გამცემი ბანკის მიერ და არ არის დადასტურებული მიმღების ბანკის მიერ. შესაბამისად მიმღები (ექსპორტიორის) ბანკი არ იღებს ვალდებულებას გადახდაზე, და რისკიც შესაბამისად უფრო მეტია.